



**USAID**  
აშშ-ის საგარეო სახმელეთო  
დახმარების სააგენტო

პროექტი ზრდა საქართველოში  
**ZRDA ACTIVITY IN GEORGIA**



**Chemonics**  
Development works here.

განცხადება წლიურ საგრანტო პროგრამაზე

**N 082-2005-009-S-2019**

**პროექტი ზრდა საქართველოში (USAID/Zrda Activity in Georgia)**

გამოქვეყნების თარიღი: 21 მარტი, 2019

განცხადების წარმოდგენის ბოლო ვადა: 20 სექტემბერი, 2019

**შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ამოიწურება კონკრეტული საგრანტო კონკურსისათვის გამოყოფილი თანხა, ზრდა აღარ დააფინანსებს განაცხადებს, შესაბამისად განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადის თარიღიც შეიცვლება.**

პატივცემულო განმცხადებელო:

USAID-ის პროექტი ზრდა საქართველოში, რომელსაც ახორციელებს ქემონიქს ინთერნეიშენალი, აცხადებს საგრანტო კონკურსს ბოსტნეულის, მარწყვისა და მწვანე ხაჭაპურის წარმოების განვითარების მიზნით ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, სამეგრელო ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის და კახეთის რეგიონების სამიზნე თემებში. (იხილეთ დანართი ბ – პროექტი ზრდა-ს სამიზნე თემების/სოფლების ჩამონათვალი). პროექტი ითვალისწინებს სასათბურე მეურნეობების მოწყობას (1000 კვ.მ-მდე) თანადაფინანსების პრინციპით, ჯამში არაუმეტეს 5,000 კვ.მ-ისა . საგრანტო პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აღნიშნული რეგიონების სამიზნე თემებში მცხოვრებ ფერმერებს, რომლებიც დარეგისტრირებული არიან ინდ. მეწარმედ, ან გამონაკლის შემთხვევაში აქვთ საგადასახადო რეგისტრაციის ნომერი, როგორც ფიზიკურ პირს თუ მათი წლიური შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს, გრანტი გაიცემა აგრეთვე მცირე და საშუალო საწარმოებზე, რომელთაც აქვთ სურვილი გააფართოვონ/განაახლონ არსებული სასათბურე მეურნეობა ან მოაწყონ სრულიად ახალი სასათბურე მეურნეობა, და სათბურის მოწყობაში მიიღონ ფინანსური და არა ფინანსური (მუშა ხელი) თანამონაწილეობა. (თანამონაწილეობის ფორმატზე იხილეთ დეტალები ქვემოთ); გრანტები გაიცემა და განხორციელდება USAID-ის და



აშშ-ს მთავრობის იმ რეგულაციების დაცვით, რომლებიც გამოიყენება გრანტების, კონტრაქტების დროს, ზრდა პროექტის საგრანტო პროგრამის მართვის პოლიტიკის შესაბამისად.

აპლიკანტებს შეუძლიათ შეკითხვები გამოაგზავნონ წერილობითი სახით ელექტრონულ ფოსტაზე: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge) . ზრდა პასუხს გასცემს ყველა რელევანტურ შეკითხვას და გამოაქვეყნებს ზრდას ფეისბუქის გვერდზე, ან ვებ გვერდზე: [www.zrda.ge](http://www.zrda.ge) . გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ არ მოხდება კითხვებზე პასუხების ინდივიდუალურად გაგზავნა.

საინფორმაციო შეხვედრები საშუალებას მისცემს დაინტერესებულ განმცხადებლებს დასვან კითხვები პროექტის განაცხადის შესახებ და მიიღონ პასუხები და მითითებები იმაზე, თუ როგორ შეავსონ განაცხადის ფორმები.

საჭიროების შემთხვევაში პროექტი ზრდა ჩანიშნავს დამატებით საინფორმაციო შეხვედრებს, და განახლებულ ინფორმაციას განათავსებს ზრდა-ს ფეისბუქ და ვებ გვერდებზე.

პროექტის განაცხადს თან ახლავს შემდეგი დანართები:

- **დანართი ა** – გრანტის განაცხადის ფორმა;
- **დანართი ბ** – ზრდა პროექტის სამიზნე თემების/სოფლების ჩამონათვალი
- **დანართი გ** - სერთიფიკატები
- **დანართი დ** - პოტენციური მომწოდებლების სია

## ნაწილი I. პროგრამის აღწერა

### 1. მიზანი:

USAID-ის ზრდა პროექტი საქართველოში აცხადებს საგრანტო კონკურსს და იწვევს ფერმერს (ფიზიკური პირი) და საქართველოში რეგისტრირებულ მცირე და საშუალო საწარმოებს ზრდა პროექტის სამიზნე თემებიდან, რათა მათ წარმოადგინონ განაცხადი და დაფინანსების შემთხვევაში მოაწიონ ან განაახლონ მცირე ზომის სასათბურე მეურნეობები კენკრის და ბოსტნეულის წარმოების მიზნით.

საქართველოში ფერმერთა დიდი უმრავლესობა აწარმოებს ბოსტნეულს, მარწყვსა და მწვანელს ღია გრუნტზე. მოსავლის აღება ემთხვევა პერიოდს (მაგ. ივნისი-სექტემბერი), როცა აღნიშნულ პროდუქტებზე მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას, რაც თავის მხრივ იწვევს ბაზრის გაჯერებას და ფასების ვარდნას. სწორედ ამიტომ, ფერმერებს უწევთ გაყიდონ საკუთარი მოსავალი მაშინ, როდესაც ბოსტნეულის, მარწყვის და მწვანელის საბაზრო ფასები ყველაზე დაბალია. პროექტი ზრდა გეგმავს ხელი შეუწყოს ბოსტნეულის, მარწყვისა და მწვანელის წარმოებას სათბურებში, თანამედროვე ინტენსიური ტექნოლოგიისა და საწარმოო ხერხების გამოყენებით. აღნიშნული ინიციატივა მისცემს ფერმერებს შესაძლებლობას, რომ გაახანგრძლივონ პროდუქციის წარმოების ციკლი. ამ გზით ფერმერებს მიეცემა შესაძლებლობა ბაზარზე შეიტანონ პროდუქცია მაშინ, როცა ფასები მაღალია და შესაბამისად მიიღონ მაქსიმალური სარგებელი.



**ბ. მოკლე მიმოხილვა**

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელსაც ახორციელებს ქემონიქს ინთერნეიშენელი. იგი მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობის უნარ-ჩვევების, პროდუქტიულობისა და სავაჭრო კავშირების გაძლიერებას და სუსტი შინამეურნეობებიდან მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გადასვლას, რათა მათ ხელი შეუწყონ ეკონომიკის სხვადასხვა სფეროების განვითარებას და მიზნობრივი თემებში მდგრადობისა და სტაბილურობის მიღწევას.

პროექტი ზრდა გააძლიერებს მიკრო, საშუალო და მცირე საწარმოების განვითარებასა და ზრდას, გაზრდის სოფლის მოსახლეობის შესაძლებლობას მიიღონ შემოსავალი და ხელს შეუწყობს მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც განამტკიცებს საბაზრო სისტემას. შედეგად, პროექტი ხელს შეუწყობს მიკრო, საშუალო და მცირე საწარმოებში სამუშაო ადგილების შექმნას და გაყიდვების გაზრდას, ხოლო შინამეურნეობებში- შემოსავლის გაზრდას, რაც დაეხმარება სამიზნე თემებში მდგრადობისა და ცხოვრების დონის ზრდას.

**იგ. პროგრამის აღწერა**

საგრანტო პროექტის კონკურსის საფუძველზე პროექტი ზრდა, შეარჩევს ფერმერებს ზრდა პროექტის სამიზნე თემებიდან, რომლებიც დაინტერესებული არიან 1000 მ2-მდე მარტივი ტიპის სასათბურე მეურნეობების მოწყობაში. შესაძლებელია, ფერმერმა მოაწყოს 1000 მ2-ზე მეტი ფართის სასათბურე მეურნეობა სურვილისამებრ. ასეთ შემთხვევაში, ზრდა პროექტი სუბსიდირებას გაწევს მხოლოდ 1000მ2 - ზე. ზრდა სუბსიდირებას გაუწევს შერჩეულ ბენეფიციარს ქვემოთ მითითებული სუბსიდირების პაკეტების მიხედვით (გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სუბსიდირება ზრდა პროექტის მხრიდან მოხდება მხოლოდ სათბურების დასრულების ან განახლების შემდეგ):



#	სუბსიდირების პაკეტი	ზრდა პროექტის სუბსიდირების ოდენობა 1ბ2-ზე
1	<p><b>ახალი სათბურის მოწყობა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- <b>რკინის კონსტრუქცია:</b> რკინის შველერები კვადრატული ან მრგვალი პროფილით, სისქით არანაკლებ 2მმ. გვერდითა კედლების სიმაღლე არანაკლებ 1.8მ, კეხის სიმაღლე არანაკლებ 3.0 მ. რიგელებს შორის მანძილი არაუმეტეს 3.0 მ.</li> <li>- <b>გადასახური მასალა:</b> 5 შრიანი ცელოფანი ულტრაისფერი და იისფერი სხივების დაცვით, ცვარის წარმოქმნის საწინააღმდეგო მახასიათებელით, სისქით არანაკლებ 150 მიკრონი. ცელოფნის დამჭერი პროფილით.</li> <li>- <b>სარწყავი სისტემა</b> - მთავარი მაგისტრალი არანაკლებ 2 ატმოსფერო წნევაზე გათვლილი, წვეთოვანი მილი არანაკლებ 1 ატმოსფეროზე გათვლილი, ელექტრო პომპით, დისკური ფილტრით და სასუქის შემრევი სისტემით.</li> <li>- <b>ვენტილაციის სისტემა</b> - გვერდითა ასაწევი ფანჯრები (გამწოვი ვენტილატორების დამატების შემთხვევაში ზრდა პროექტის სუბსიდირება გაიზრდება 1,5 ლარით).</li> <li>- <b>წერტილოვანი საძირკვლები</b> - ბეტონის წერტილოვანი საძირკვლების მოწყობა კონსტრუქციის მზიდ შველერებისათვის.</li> </ul>	8.5 ლარი
2	<p><b>არსებულ სათბურზე გადასახური მასალების შესყიდვა და მონტაჟი:</b> ერთი ფენა 5 შრიანი ცელოფანი ულტრაისფერი და იისფერი სხივების დაცვით, ცვარის წარმოქმნის საწინააღმდეგო მახასიათებელით, სისქით არანაკლებ 150 მიკრონი. ცელოფნის დამჭერი პროფილით.</p>	4.0 ლარი
3	<p><b>არსებულ სათბურში სარწყავი სისტემის მოწყობა</b> - მთავარი მაგისტრალი არანაკლებ 2 ატმოსფერო წნევაზე გათვლილი, წვეთოვანი მილი არანაკლებ 1 ატმოსფეროზე გათვლილი. პომპა, ფილტრი, ფერტიგაციის სისტემა.</p>	1.5 ლარი
4	<p><b>ვენტილაციის სისტემა</b> - ჰაერის გამწოვი ვინტილატორები (3 წუთში სათბურის მოცულობის ჰაერის გატანის სიმძლავრით)</p>	1.5 ლარი



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

პროექტი ზრდა საქართველოში  
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



ზრდა პროექტი უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას, რომელიც გულისხმობს ტრენინგების პროგრამას და კონსულტაციებს სასაბურთე მეურნეობის მოწყობის და კენკრის და ბოსტნეულის წარმოების საკითხებში. ასევე ზრდა პროექტი მიაწვდის ინფორმაციას ფერმერებს ავტორიზებული მომწოდებლების შესახებ (გთხოვთ იხილოთ დანართი დ), ასევე ფერმერს შეუძლია შეიძინოს მასალები სხვა მომწოდებელთან, რომლის შეთანხმება მოხდება ზრდა პროექტთან.

შერჩეულმა ბენეფიციარმა საბურთის მშენებლობისათვის საჭირო ფინანსური რესურსისათვის შეუძლია მიმართოს საფინანსო ინსტიტუტებს (კრისტალი, კრედო) ან სხვა საფინანსო ინსტიტუტს ბენეფიციარის სურვილის მიხედვით.

**საგრანტო პროექტში შერჩეული ფერმერების პასუხისმგებლობა:**

- ფერმერს უნდა ჰქონდეს მიწის ნაკვეთი (საკუთრებაში ან გრძელვადიანი იჯარით) სასაბურთე მეურნეობის მოსაწყობად, რომელსაც ექნება ელექტროენერჯის წყარო, სარწყავი წყალი და საგზაო ინფრასტრუქტურა;
- საჭიროების შემთხვევაში, ფერმერმა უნდა მოამზადოს მიწის ნაკვეთზე სათანადო სადრენაჟო სისტემა;
- მოამზადოს ნიადაგი ბოსტნეულის, მარწყვის და მწვანე ხაჭაპურის თესლის ან ჩითილების დარგვისათვის;
- შეისყიდოს ბოსტნეულის ან მწვანე ხაჭაპურის თესლი ან მარწყვის ნერგი;
- შეისყიდოს საჭირო სასუქები, აღმოცენებამდე და აღმოცენების შემდეგ გამოსაყენებელი ჰერბიციდები და პესტიციდები;
- დაფაროს ბოსტნეულის, მარწყვის და მწვანე ხაჭაპურის სასაბურთე წარმოების ნებისმიერი და ყველა საწარმოო ხარჯი;
- შეიძინოს საკონსულტაციო პაკეტი (პაკეტის ღირებულებაა 350 ლარი და გულისხმობს ფერმერთა მომსახურების ცენტრის სპეციალისტის 5-ჯერ ვიზიტს ფერმერთან წარმოების სხვადასხვა ეტაპზე და კონსულტაციების გაწევას ადგილზე. გადახდა უნდა მოხდეს სერვისის მიმწოდებელზე საწარმოო ციკლის დასრულების შემდეგ (250 ლარის სუბსიდირება მოხდება ზრდა პროექტის მხრიდან);
- ფერმერს ეძლევა 4 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან, რათა მან დაასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები.
- ფერმერს დამატებითი დაფინანსებისათვის შეუძლია მიმართოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტს (AMMAR), დეტალური ინფორმაცია ფერმერებს მიეწოდებათ საინფორმაციო შეხვედრების დროს.



*ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჩაითვლება ფერმერის თანამონაწილეობა და აღნიშნულ აქტივობაში და არ დაფინანსდება დამატებით ზრდა-ს მიერ.*

*ფერმერი ასევე ვალდებულია საკუთარი ფინანსებით შეისყიდოს საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული მასალები და საკონსულტაციო პაკეტი, რომელსაც ზრდა აუნაზღაურებს მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამადასტურებელი დოკუმენტები (შესყიდვის ხელშეკრულების/ ინვოისის ასლები სასათბურე მეურნეობის ამსახველი ფოტომასალა ან სხვა);*

USAID-ის ზრდა პროექტი საქართველოში აღიარებს, რომ რომელიმე გრანტის მიმღებს შესაძლოა დაჭირდეს დახმარება რათა უფრო ეფექტიანად განახორციელოს საქმიანობა. შესაბამისად, განმცხადებლებს მოუწოდებთ დააფიქსირონ საკუთარი საჭიროებები ტექნიკური დახმარების მისაღებად ან ტრენინგის საჭიროება საკუთარ განაცხადებში.

**I დ. უფლებამოსილება/მოქმედი მარეგულირებელი ნორმები**

ზრდა პროექტის გრანტები შედგენილია აშშ საგარეო საქმეთა შესახებ კანონისა და USAID-ის წინასწარი დირექტივების სისტემის (ADS) საფუძველზე. ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ [ADS თავი 303](#), საფუძველზე წარმოდგენილი სახელმძღვანელო,

„გრანტები და თანამშრომლობის ხელშეკრულებები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის“ და დაექვემდებარონ USAID [სტანდარტული დებულებები აშშ არასამთავრობო მიმღებებისთვის](#), ასევე ზრდას გრანტების გაცემის შიდა პროცედურებს.

ADS 303 მიუთითებს დამატებით მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელიც გამოსცა აშშ-ს მთავრობის მენეჯმენტის და ბიუჯეტის განყოფილებამ (OMB) და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ.

- 2 CFR 200 [ერთიანი ადმინისტრაციული მოთხოვნები, თვითღირებულების პრინციპები, და აუდიტური მოთხოვნები ფედერალური კონტრაქტებისთვის, ქვე- ნაწილი E](#) (აშშ აპლიკანტები მთლიანად ექვემდებარებიან 2 CFR 200)

2 CFR 200 სრული ტექსტი იხილეთ

[http://www.ecfr.gov/cgi-bin/text-idx?tpl=/ecfrbrowse/Title02/2cfr200\\_main\\_02.tpl](http://www.ecfr.gov/cgi-bin/text-idx?tpl=/ecfrbrowse/Title02/2cfr200_main_02.tpl)



ზრდა-მ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ორგანიზაციამ, რომელიც იღებს USAID საგრანტო სახსრებს, შეასრულოს ზემოთ მითითებული სახელმძღვანელო, რომელიც ვრცელდება მათი გრანტების პირობებსა და დებულებებზე.

USAID იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს, ზრდა პროექტის უფლებამოსილება გრანტების გაცემის ნაწილში.

**ნაწილი II. მონაწილეობის მიღების უფლებამოსილება**

პროექტის დამტკიცებული აქვს ქვე-გრანტების სახელმძღვანელო, სადაც განმარტებულია განმცხადებლების მონაწილეობის პირობები - მონაწილეობის უფლებამოსილების მოთხოვნები.

საგრანტო პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ზრდა პროექტის სამიზნე თემებში მცხოვრებ ფერმერებს, რომლებიც დარეგისტრირებული არიან ინდ. მეწარმედ, ან გამონაკლის შემთხვევაში აქვთ საგადასახადო რეგისტრაციის ნომერი, როგორც ფიზიკურ პირს თუ მათი წლიური შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს, გრანტი გაიცემა აგრეთვე მცირე და საშუალო საწარმოებზე.

**ნაწილი III. ინფორმაცია განაცხადისა და წარდგენის შესახებ**

**III ა. ქვეგრანტის განაცხადი**

**IVA2. საგრანტო განაცხადი**

აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ შევსებული საგრანტო განაცხადი. განაცხადის ფორმა თან ახლავს ამ მოთხოვნას (დანართი ა).

განაცხადი ან კონცეფციის დოკუმენტი, აგრეთვე დანართ გ-ში მოცემული სერთიფიკატები/მოწმობები ხელმოწერილი უნდა იყოს განმცხადებლის უფლებამოსილი აგენტის მიერ.

**III ბ. დაუშვებელი ხარჯები**

გრანტის ფარგლებში მიღებული რესურსი არ შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგისთვის:

- მშენებლობა ან ნებისმიერი სახის ინფრასტრუქტურული საქმიანობა. მშენებლობა ასევე მოიცავს სარემონტო სამუშაოებს, რეკონსტრუქციას, გადაკეთებას და აღდგენის ხარჯებს.
- ცერემონიების, საღამოების, დღესასწაულების ან წარმომადგენლობითი ხარჯები.

- შეზღუდული საქონლის შესყიდვები, როგორცაა: შეზღუდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ავტომობილები მათ შორის მოტოციკლები, ფარმაცევტული პრეპარატები, სამედიცინო მოწყობილობები, კონტრაცეპტივები, მეორადი აღჭურვილობა; ზრდა პროექტის წინასწარი ნებართვის გარეშე, ან აკრძალული საქონელი, აკრძალული საქონელი USAID რეგულაციების თანახმად, მათ შორის და არა მხოლოდ შემდეგი: აბორტის მოწყობილობა და მომსახურებები, ფუფუნების საგნები და სხვა.
- ალკოჰოლური სასმელები.
- იმ საქონლის ან მომსახურებების შესყიდვა, რომელიც იზღუდება ან იკრძალება USAID წყარო / წარმოების ადგილი მოქმედი რეგულაციის შესაბამისად, (ბირმა (მიანმა), კუბა, ირანი, ჩრდილოეთ კორეა, (ჩრდილოეთ) სუდანი და სირია).
- ნებისმიერი შესყიდვა ან საქმიანობა, რომელიც უკვე განხორციელებულია.
- შესყიდვები ან საქმიანობები, რომელთა შესრულება არ ემსახურება ზრდა პროექტის გრანტით განსაზღვრულ მიზნებს.
- გრანტის მიმღების წინა (გრანტის მიღებამდე) ვალდებულებები და/ან ვალეები, საურავები და პირგასამტეხლოები.
- შემოწირულობების ფონდების შექმნა.

#### **ნაწილი IV. ინფორმაცია წარდგენის შესახებ**

განაცხადები წარდგენილ უნდა იქნას ინგლისურ ან ქართულ ენაზე და მათი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 10 გვერდს.

განაცხადების წარდგენა/ჩაბარება შესაძლებელია ელექტრონულად შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge) და/ან ბეჭდური ფორმით ზრდა პროექტის ოფისებში, შემდეგ მისამართებზე:

- თბილისი, ნინო რამიშვილის პირველი ჩიხი #9,
- ზუგდიდი, რ. ლალიძის ქუჩა #3
- გორი, სტალინის გამზირი #27/1
- ახალციხე, წმინდა დავით და კონსტანტინეს ქუჩა #21ა
- მარნეული, რუსთაველის ქუჩა #48
- ახმეტა, ლესელიძის ქუჩა #36





**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

პროექტი ზრდა საქართველოში  
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



განაცხადში აუცილებლად უნდა მიეთითოს მოთხოვნის # **082-2005-009-S-2019**. განაცხადები წარდგენილ უნდა იქნას არაუგვიანეს 2019 წლის 20 სექტემბრისა (18:00 სთ). **დაგვიანებული ან შეუსაბამო განაცხადები არ განიხილება.**

**შენიშვნა:** განაცხადების მიღება შეიძლება შეწყვეტილ იქნას ვადაზე ადრე, იმ შემთხვევაში, თუ ამოიწურება საგრანტო კონკურსისათვის გამოყოფილი თანხა.

განაცხადები წარდგენა უნდა განხორციელდეს ინგლისურად ან ქართულად და არ უნდა აღემატებოდეს 10 გვერდს დანართების გარეშე.

იმისათვის, რომ განაცხადი ჩაითვალოს სრულყოფილად, განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შემდეგი:

- სრულყოფილი, ხელმოწერილი საგრანტო განაცხადი;
- დანართ გ-ში მოცემული ხელმოწერილი სერთიფიკატები;
- მიწის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საიჯარო ხელშეკრულება საჭიროების შემთხვევაში);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის დოკუმენტი;

**გაითვალისწინეთ, რომ არასრული განაცხადი არ განიხილება.**

გთხოვთ, ამ პროცესთან დაკავშირებული ყველა შეკითხვა გამოაგზავნოთ შემდეგ ელ.მისამართზე: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge) კითხვებზე პასუხები გამოყვეყნდება **ზრდა-ს ფეისბუქ და ვებ გვერდებზე [www.zrda.ge](http://www.zrda.ge)**, კვირაში ერთხელ მთელი პერიოდის განმავლობაში.

**ნაწილი V. განაცხადების შეფასება კრიტერიუმების მიხედვით**

განაცხადს განიხილავს შიდა შეფასების კომისია, რომლის წევრებიც იქნებიან ზრდა პროექტის ტექნიკური თანამშრომლები; განაცხადი შემოწმდება ქვემოთმოცემული კრიტერიუმებზე დაყრდნობით და ადგილზე ვიზიტისას ტექნიკური ჯგუფის მიერ მომზადრებული დასკვნის საფუძველზე.



**შეფასების კრიტერიუმები\*:**

სარწყავი წყლის, ელ-ენერჯის და საგზაო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა, წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისობა პროექტის მიზნებთან	20
<b>2. დასაქმება</b>	<b>10</b>
ბენეფიციართა/დასაქმებულთა სავარაუდო რაოდენობა	10
<b>3. მდგრადობა და ხარჯთეფექტურობა</b>	<b>40</b>
დაგეგმილი საქმიანობების მდგრადობა	20
ფერმერის თანამონაწილეობა	20
<b>4. გამოცდილება</b>	<b>30</b>
სამუშაო გამოცდილება ამ სფეროში (არსებული სასათბურე მეურნეობა)	30
სულ	100

**\*პროექტი მხოლოდ არასაკმარისი განაცხადების მიღების შემთხვევაში განიხილავს ზრდა პროექტის მიერ უკვე დაფინანსებული ფერმერების განაცხადებს;**

**ნაწილი VI. ინფორმაცია გრანტის მინიჭებისა და ადმინისტრირების შესახებ**

ყველა გრანტი ექვემდებარება საბოლოო მოლაპარაკებას, დაითვლება და გაიცემა ქართულ ლარში.

გრანტის ფარგლებში გაწეული ყველა ხარჯი უნდა იყოს დასაშვები, დათვლადი და გონივრული/მიზანშეწონილი.

წინამდებარე მოთხოვნის გამოქვეყნება და განაცხადის შევსების პროცესში დახმარება არ გულისხმობს ზრდა პროექტის მიერ გრანტის გაცემას ან არ ავალდებულებს მას აპლიკანტების მიერ განაცხადის მომზადებასა და წარდგენაში გაწეული ხარჯების დაფარვას. გარდა ამისა, ზრდა პროექტი უფლებას იტოვებს მიიღოს ან დაიწუნოს ნებისმიერი ან ყველა მიღებული განაცხადი და უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი განმარტებები განმცხადებლებისაგან. აპლიკანტებს წერილობით ეცნობებათ მათი განაცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.